

## Covid 19-ის რეგულაციები კაცთა და ჭაბუკთა ლიგების

### რეგულარული ჩემპიონატებისთვის

(2022 წლის განახლებული ვერსია)

2021-22 წლის სრკ-ს ეგიდით მიმდინარე რეგულარულ ჩემპიონატებში შექმნილი სახეშეცვლილი ეპიდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ასევე ქვეყანაში ბოლო დროს აპრობირებული Covid 19-ის ტესტირების ახალი კრიტერიუმებისა და მასზე გაფართოებული წვდომის გათვალისწინებით, სრკ-ს მმართველი ორგანო კაცთა გუნდებისთვის აწესებს ახალ რეგულაციებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა ჩემპიონატების მიმდინარეობის გადაყვანა შედარებით სტაბილურ რეჟიმში.

კერძოდ:

- i. სრულად აცრილი მოთამაშეები განთავისუფლებულნი არიან Covid 19-ის ტესტირებისგან. სრულად აცრილ მოთამაშედ განხილულნი იქნებიან მოთამაშეები, რომლებსაც მეორე დოზიდან გაუვიდათ 14 დღე;
- ii. არასრულად ვაქცინირებული მოთამაშეები **ვალდებული** არიან წარუდგინონ 24 საათით ადრე სწრაფი ანტიგენის ტესტის უარყოფითი პასუხები მატჩის კომისარს და გადააგზავნონ შესაბამის ელექტრონულ ფოსტაზე - [Covid@Rugby.ge](mailto:Covid@Rugby.ge). ტესტირების პასუხის არარსებობის შემთხვევაში, მოთამაშე არ დაიშვება მატჩზე. მიიღება მხოლოდ ოფიციალური ბეჭდით დამკტიცებული ტესტი;
- iii. არავაქცინირებული მოთამაშეები **ვალდებული** არიან წარუდგინონ 72 საათით ადრე გაკეთებული PCR ტესტის ან 24 საათით ადრე სწრაფი ანტიგენის ტესტის უარყოფითი პასუხები მატჩის კომისარს და გადააგზავნონ შესაბამის ელექტრონულ ფოსტაზე - [Covid@Rugby.ge](mailto:Covid@Rugby.ge); ტესტირების პასუხის არარსებობის შემთხვევაში, მოთამაშე არ დაიშვება მატჩზე. მიიღება მხოლოდ ოფიციალური ბეჭდით დამკტიცებული ტესტი;
- iv. ინფიცირებული მოთამაშე(ებ)ის ყოლის შემთხვევაში გუნდი **ვალდებულია** სასწრაფოდ აცნობოს სრკ-ს კოვიდ მენეჯერს ბ-ნ მიხეილ გელოვანს ([Mishogelovani@gmail.com](mailto:Mishogelovani@gmail.com), ტელეფონი 599 27 29 59) და წარმოადგინოს ოფიციალური დოკუმენტი. ასევე, გუნდი **ვალდებულია** დარჩენილი ჯანმრთელი მოთამაშეების კონტიგენტით მიიღოს მონაწილეობა კალენდარით გათვალისწინებულ მატჩში;
- v. თუკი თამაშის დაწყებამდე 72 საათით ადრე ჩატარებული ტესტირების შემდეგ მოთამაშეს ამოუვარდა უარყოფითი პასუხი, მაგრამ თამაშის დაწყებამდე პერიოდში გამოუვლინდა Covid 19-ისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (იხ.; „Covid 19 კითხვარი), იგი არ დაიშვება სათამაშოდ და მას უნდა ჩაუტარდეს დამატებითი Covid 19-ის ტესტირება. ტესტის უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მას დაერთვება თამაშში მონაწილეობის უფლება.
- vi. **იმ შემთხვევაში, თუ კვირის განმავლობაში ინფიცირებულ მოთამაშეთა რაოდენობა გუნდში იქნება 6 ან მეტი, გუნდს უფლება ექნება მოითხოვოს უახლოესი კალენდარული მატჩის გამოტოვება. გამოტოვებული მატჩი გაიმართება კალენდარში გაჩენილი პირველივე „ფანჯრის“ დღეს.**

- vii. თუკი გუნდში შეინიშნება ინფიცირებულ მორაგბეთა რაოდენობის ზრდის ტენდენცია, საკითხი დამატებით განიხილება სრკ-ს სამედიცინო სამსახურსა და საშეჯიბრო კომიტეტში.
- viii. იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა კარანტინი და/ან შეიზღუდა პროფესიული სპორტული საქმიანობა, სრკ ვალდებული იქნება აღნიშნული ვადით შეაჩეროს ჩემპიონატი იმ დათქმით, რომ შეზღუდვების მოხსნიდან არაუგვიანეს 1 თვისა 2021-22 წ.წ ჩემპიონატები აუცილებლად გაგრძელდება და დასრულდება.